



საკანონმდებლო მაცნე

შინაარსი

- სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენება
- საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციები
- აქციზური მარკით ნიშანდებული, საქართველოში წარმოებული აქციზური ნაწარმის ჩამოწმის პროცედურა
- თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების დანაკარგის ნორმები
- საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირებისათვის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესი

ცვლილება ბრძანებაში

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენება

2026 წლის 6 თებერვალს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №38, რომლითაც ცვლილება შევიდა „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განახლდა მიკრო და მცირე ბიზნესის, ასევე ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი პირებისთვის აღნიშნული სტატუსის მინიჭების/გაუქმების წესი და საგადასახადო ადმინისტრირების შესაბამისი პროცედურები.

ცვლილება შეეხო მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის ვალდებულებებს, კერძოდ, პირი ვალდებულია საგადასახადო დოკუმენტები შეინახოს 3 წლის განმავლობაში ნაცვლად 6 წლისა (ვადა ითვლება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან). ცვლილებით ასევე განისაზღვრა სტატუსის გაუქმების შემთხვევები და აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის თავისებურებები. კერძოდ, №999 ბრძანების განახლებული მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ფიზიკურ პირს უქმდება მიკრო ბიზნესის სტატუსი, თუ მიმდინარე საგადასახადო წელს ამ პირის ჯამური შემოსავალი:

- გადააჭარბებს 30 000 ლარს ან იგი დაიწყებს დაქირავებული პირის შრომის გამოყენებას და ამ მომენტის დადგომიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს მიმართავს მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების მიზნით. **მოცემულ შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პეჩიოდში მიღებული შემოსავალი დაექვემდებარება მიკრო ბიზნესისთვის დადგენილი წესით დაბეგვას და პიხს მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭება დახლვევის მოხდენის დღიდან. ცვლილებამდე ვეხსიით კი თუ პიხი ახ გამოიყენებდა აღნიშნულ უფლებას, მას ავტომატურად გაუუქმებოდა მიკრო ბიზნესის სტატუსი და შესაბამისად დაბეგვის სპეციალური რეჟიმიდან გამოვიდოდა.**
- გადააჭარბებს 30 000 ლარს ან იგი დაიწყებს დაქირავებული პირის შრომის გამოყენებას და ამ მომენტის დადგომიდან 15 დღის ვადის გასვლის შემდეგ საგადასახადო ორგანოს მიმართავს მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების მიზნით. **მოცემულ შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პეჩიოდში მიღებული შემოსავალი დაექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვას საეხთო წესით და პიხს მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭება განცხადებით მიმართვის დღიდან.**
- არ გადააჭარბებს 30 000 ლარს და საგადასახადო ორგანოს მიმართავს მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების მიზნით. **მოცემულ შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პეჩიოდში მიღებული შემოსავალი დაექვემდებარება მიკრო ბიზნესისთვის დადგენილი წესით დაბეგვას და პიხს მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭება განცხადებით მიმართვის დღიდან.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება განიცადა მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების ვადებმა, კერძოდ №999 ბრძანების განახლებული მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონედ ითვლება საგადასახადო ორგანოსთვის განცხადებით მიმართვის დღიდან, ნაცვლად მიმართვის დღის მომდევნო თვის პირველი რიცხვისა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ზემოთ ხსენებული პირველი შემთხვევა მიკრო ბიზნესისთვის განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის შესახებ.

ინსტრუქციაში მოყვანილი განახლებული მაგალითი 2-ის საფუძველზე ასევე განისაზღვრა ცალკეული შემოსავლების დაბეგვრის განაკვეთები და დეკლარირების წესი, კერძოდ, მცირე ბიზნესის მიერ ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი დაიბეგრება 5%-იანი განაკვეთით და ექვემდებარება ფიზიკური პირის მიერ ქონების/აქტივის მიწოდებაზე საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციაში წარდგენას, ნაცვლად წლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციისა.

ცვლილებით ასევე განისაზღვრა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის ვალდებულებები, როცა იგი სტატუსის გაუქმების მოთხოვნით მიმართავს საგადასახადო ორგანოს, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში პირი ვალდებულია არასრულ საგადასახადო პერიოდში (სტატუსის გაუქმების თვიდან შესაბამისი კალენდარული წლის ბოლომდე) მიღებულ შემოსავლებზე წარადგინოს წლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. ამასთანავე, მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემდეგ, სტატუსის ხელახალი მინიჭების მიზნით პირს შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს მხოლოდ სტატუსის გაუქმების წლის მომდევნო საგადასახადო წლიდან.

ცვლილებით, ასევე განისაზღვრა, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს ყოველთვიური საშემოსავლო გადასახადის წარდგენელი დეკლარაცია ზოგადი წესებით აღარ ეთვლება წარდგენილ დეკლარაციად, სადაც დასარიცხი გადასახადი წლის ტოლია, შესაბამისად, იგი ვალდებულია ამ შემთხვევაშიც წარადგინოს ე.წ. წულოვანი საგადასახადო დეკლარაცია.

რაც შეეხება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელ პირს, განახლებული ინსტრუქციის მიხედვით, აღნიშნული სტატუსის მინიჭების მიზნით, ფიზიკური პირის შემთხვევაში სავალდებულო ხდება მისი ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაცია. შესაბამისად, ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციის გაუქმება, თავის მხრივ გამოიწვევს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმებას.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 7 მარტიდან.

საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციები

2026 წლის 25 თებერვალს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №52, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განახლდა მოგების გადასახადის როგორც წლიური, ასევე ყოველთვიური დეკლარაციების ფორმები და დაემატა ახალი დანართები, რომელიც ეხება სსკ-ის 126-129¹ მუხლებით გათვალისწინებულ საერთაშორისო კონტროლირებად ოპერაციებთან დაკავშირებით წარსადგენ მონაცემებს.

ცვლილების შედეგად განახლდა №996 ბრძანების 40¹ და 41-ე მუხლები და დაემატა ახალი ნაწილები, რომლითაც განისაზღვრა მოგების გადასახადის ყოველთვიური/წლიური დეკლარაციების ახალი დანართების („ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 126-129¹ მუხლებით გათვალისწინებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ“) შევსების წესი.

მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის აღნიშნული დანართი ივსება მხოლოდ მარტის თვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარსადგენ დეკლარაციაში, ისიც იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების ჯამური მოცულობა (თანხა) აღემატება 500 000 ლარს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ოპერაციების ჯამურ მოცულობაში გაითვალისწინება აგრეთვე უსასყიდლოდ გაწეული კონტროლირებული ოპერაციების საბაზრო ღირებულება და არსებული კრედიტორული ან/და დებიტორული დავალიანების მოცულობა.

მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარმდგენი პირის მიერ მოცემული დანართის შევსების ვალდებულებაც იმავე პირობების დადგომის შემთხვევაში დგება და დანართი სავალდებულო წესით შევსებას ექვემდებარება ყოველწლიურად წინა კალენდარული წლის მონაცემებზე დაფუძნებით.

მოცემულ დანართებში გადასახადის გადამხდელის მიერ უნდა მოხდეს შემდეგი ინფორმაციის ასახვა:

- ურთიერთდამოკიდებული პირის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი და რეზიდენტობა
- განხორციელებული ოპერაციის სახე
- საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის მოცულობა (ღირებულება), როგორც მისი განხორციელების ვალუტაში (ოპერაციის ჯამური თანხა), ასევე განხორციელებული ეროვნულ ვალუტაში (ლარში)
- კრედიტორული ან დებიტორული დავალიანების ნაშთი საანგარიშო წლის ბოლოსთვის მისი განხორციელების ვალუტაში
- საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის დაწყების თარიღი
- ინფორმაცია ოპერაციების შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ფლობის შესახებ (მაქვს/არ მაქვს/მზადდება/ვაპირებ მომზადებას).

მოგების გადასახადის როგორც ყოველთვის, ასევე წლიური დეკლარაციების შესაბამისი ახალი დანართების შევსების წესთან და წარსადგენ ინფორმაციასთან დაკავშირებით №996 ბრძანებაში ასევე მოცემულია შესაბამისი საილუსტრაციო მაგალითები.

საზგადასახადო, ის გარემოება, რომ აღნიშნული წესი ვრცელდება 2025 წლის და მის შემდგომ საანგარიშო პერიოდზე წარსადგენ ინფორმაციაზე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 126-129¹ მუხლების თანახმად საერთაშორისო კონტროლირებად ოპერაციებად მიიჩნევა, თუ:

- საქართველოს საწარმო ახორციელებს ერთ ან რამდენიმე ფინანსურ ან კომერციულ ოპერაციას ურთიერთდამოკიდებულ საწარმოსთან, რომელიც არ არის საქართველოს საწარმო.
- საქართველოს საწარმო შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნის რეზიდენტთან (ოფშორული პირი) ერთ ან რამდენიმე ფინანსურ ან კომერციულ ოპერაციას ახორციელებს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ურთიერთდამოკიდებული პირები.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 26 თებერვლიდან.

აქციზური მარკით ნიშანდებული, საქართველოში წარმოებული აქციზური ნაწარმის ჩამოწერის პროცედურა

2026 წლის 5 თებერვალს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №34, რომლითაც ცვლილება შევიდა „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განისაზღვრა აქციზური მარკით ნიშანდებული, საქართველოში წარმოებული აქციზური ნაწარმის ჩამოწერის პროცედურები და განახლდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დადასტურების შესახებ განცხადების ფორმები.

ცვლილების შედეგად №994 ბრძანების 32-ე მუხლს დაემატა ახალი მე-6 და მე-7 პუნქტები, რომლის მიხედვით აქციზური მარკით ნიშანდებული საქართველოში წარმოებული აქციზური ნაწარმის ჩამოწერა განხორციელდება ადგილზე გასვლით და დასრულდება სრული განადგურებით. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოში წარმოებული აქციზური ნაწარმის ჩამოწერისას, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ ადგილზე გასვლით დათვალეირებას ექვემდებარება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტში მითითებული აქციზური ნაწარმის საერთო რაოდენობის არანაკლებ 2% შერჩევით. ასევე, მწარმოებლის მიერ აქციზური მარკით ნიშანდებული, საქართველოში წარმოებული აქციზური ნაწარმის ჩამოწერისას, აქციზური მარკები ითვლება უტილიზებულად და არ ექვემდებარება აქციზით დაბეგვრას.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 6 თებერვლიდან.

თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების დანაკარგის ნორმები

2026 წლის 6 თებერვალს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №28828 „თამბაქოსა და

თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების დანაკარგის ნორმების“ დანართი №1-ის დამტკიცების შესახებ. შედეგად, განისაზღვრა თამბაქოს თითოეულ ნაწარმზე აქციზური მარკების დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა (შემდგომში - დანაკარგი) და დანაკარგის გადაანგარიშების შემთხვევები.

მოცემული დანართის მიხედვით, განისაზღვრა თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების დანაკარგის ცნება, რომელიც გულისხმობს გადასახადის გადამხდელის მიერ შესაბამისი საქონლის ნიშანდების (დაკვრის) პროცესში დაზიანებული მარკების ჯამს, რომლის ოდენობა არ აღემატება წინა კალენდარული წლის განმავლობაში ამავე პირის მიერ ამავე საქონლის ნაწილში აქტივირებული მარკების:

- 0,1%-ს - ხელით ნიშანდების შემთხვევაში (თვითნებური მარკები)
- 0,5%-ს - ავტომატიზებული/მექანიკური მოწყობილობით ნიშანდების შემთხვევაში (მშრალი მარკები)
- 1%-ს - მიუხედავად ნიშანდების ფორმისა, თუ შესაბამისი საქონელი კლასიფიცირდება (ექცევა) სეს ესნ კოდებში: 2402 20 ან 2404 11 000 00.

დანართით ასევე განისაზღვრა დანაკარგის გადაანგარიშების საფუძველი, კერძოდ, თუ მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში შესაბამისი საქონლისთვის განკუთვნილი აქტივირებული მარკების ოდენობა წინა კალენდარული წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით შეიცვალა 10%-ით ან მეტით, მიმდინარე წლის დასრულების შემდეგ, დანაკარგი ექვემდებარება გადაანგარიშებას.

ამასთან, თუ მიმდინარე წლის განმავლობაში შესაბამისი საქონლის ნაწილში აქტივირებული მარკების ოდენობა წინა კალენდარული წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით გაიზარდა 10%-ით ან მეტით და არსებობს დაბეგრული დანაკლისები, ისინი დაექვემდებარება აქციზის გადასახადის დეკლარაციების დაზუსტების გზით შემცირებას, ხოლო თუ მონაცემები შემცირდა 10%-ით ან მეტით, ადგილი ექნება დანაკლისების მიმდინარე წლის დეკემბრის თვის საანგარიშო პერიოდის აქციზის გადასახადის დეკლარაციაში ასახვას (დაბეგრას).

დანართით ასევე განისაზღვრა დანაკარგის დადგენის წესი, როცა არ არსებობს შესაბამისი საქონლისთვის განკუთვნილი აქტივირებული მარკების ოდენობის შესახებ წინა კალენდარული წლის მონაცემი. გარდა ამისა, ხაზგასასმელია, რომ დანაკარგი არ გამოიყენება წუნდებული (არასათანადოდ დაბეჭდილი) მატერიალური ფორმის აქციზური მარკების მიმართ და ამავდროულად გადასახადის გადამხდელს არ ეკისრება საქონლის ნიშანდების (დაკვრის) პროცესში დაზიანებული მარკების შენახვის ვალდებულება.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირებისათვის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესი

2026 წლის 6 თებერვალს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №37, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განისაზღვრა საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირებისათვის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესი.

განხორციელებული ცვლილებით, №996 ბრძანებას დაემატა ახალი 39^ე მუხლი, რომლითაც განისაზღვრა სსკ-ის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შეღავათით მოსარგებლე პირებისთვის (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სამ- ან მეტშვილიანი პირისა და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის) დაკავებული საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნების წესი. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ თუ საგადასახადო აგენტის მიერ წარდგენილ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციაში ასახული საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირი არ არის აღრიცხული გადასახადის გადამხდელად, დაკავებული გადასახადის დაბრუნების მიზნით, იგი ვალდებულია დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად.

რაც შეეხება პროცედურებს, პირი ვალდებულია გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების მიზნით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს განცხადება „საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირებისთვის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესით სარგებლობის თაობაზე“, რომელშიც მიეთითება საბანკო ანგარიშსწორების ანგარიში, რომელზეც უნდა განხორციელდეს აღნიშნული თანხის დაბრუნება.

თანხის დაბრუნებას საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს განცხადების წარდგენის თვის მომდევნო

საანგარიშო პერიოდიდან. თანხა დაბრუნებას ექვემდებარება ყოველი თვის 20 რიცხვში პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშზე, გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული სალდირებული ზედმეტობის ფარგლებში.

ამავდროულად, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მოცემული წესით სარგებლობის მთელ პერიოდზე პირი ვერ ისარგებლებს გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების მიზნით დაქირავებულ პირზე გაცემული ცნობით. ამასთანავე, პირისთვის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების შემდეგ დაქირავებულის (საგადასახადო აგენტის) მიერ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის შესწორებული დეკლარაციის წარდგენა დაბრუნებული თანხის გადანაგარიშების საფუძველია.

იმ შემთხვევაში, თუ პირს სურს აღნიშნული წესით სარგებლობის შეწყვეტა, საგადასახადო ორგანოს უნდა წარუდგინოს განცხადება „გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესით სარგებლობის შეწყვეტის თაობაზე“. გადასახადის თანხის დაბრუნების განსაზღვრული წესით სარგებლობა წყდება განცხადების წარდგენის წლის მომდევნო წლის პირველი იანვრიდან. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის პირისათვის დაბრუნებასთან დაკავშირებით შესაბამისი პროცედურები გაინერგება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 1 ივლისიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მიმოიხილავს საგადასახადო სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებულ სიახლეებს, რომელიც ეხება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებს, საერთაშორისო კონტროლირებად ოპერაციებს, აქციზური საქონლის რეგულაციებსა და საგადასახადო შეღავათების გამოყენებას.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
ME nukidze@bdo.ge
▶ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის.

ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის.

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.